თბილისი, 13 მაისი, 2014

მიმდინარე წლის 14 მაისს, 10:00 საათზე საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში (ა. მიცკევიჩის 19, თბილისი საქართველო) გაიმართება დაძმობილების პროექტის - „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის შესაძლებლობების გაძლიერება ელექტროენერგიის წამახალისებელი სატარიფო მეთოდოლოგიის განახლებით“ დახურვისადმი მიძღვნილი კონფერენცია.

ევროკავშირის მიერ 1.1 მილიონი ევროთი დაფინანსებული დაძმობილების პროექტი ერთობლივად განხორციელდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა (სემეკი) და ავსტრიის ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოს E-Control-ის მიერ.

დაძმობილების პროექტი საქართველოში ენერგეტიკის რეგულირების, წამახალისებელი სატარიფო მეთოდოლოგიისა და ხარისხის რეგულირების გაუმჯობესებასთან ერთად, მიზნად ისახავდა მათ ჰარმონიზებას ევროკავშირის სტანდარტებთან.

21 თვის განმავლობაში ავსტრიელი, ბრიტანელი, გერმანელი და ლატვიელი ექსპერტები აქტიურად მუშაობდნენ ქართველ კოლეგებთან ერთად.

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ:
ბატონ ჯუზეპე ვასკესს, კომუნიკაციისა და ინფორმაციის ოფიცერს, ევროკავშირის წარმომადგენლობა

ქალბატონ ესტერ შულეს, პროექტის მუდმივ უცხოელ მრჩეველს

პროექტს ახორციელებს
E-Control
www.e-control.at
www.energy-twinning.at

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია
ა. მიცკევიჩის 19
თბილისი, 0194, საქართველო
ტელ: +995 43 1 256122
ფაქსი: +995 43 1 256121

პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში

ნინო ჩხეიძის 38, თბილისი
0102 საქართველო
ტელ.: +995 32 2 943763
ფაქსი: +995 32 2 943768

ევროკომისია ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოა.

„ევროკავშირი 28 წევრი სახელმწიფოსაგან შემდგარი გაერთიანებაა. მისი წევრები წლების განმავლობაში ერთმანეთს ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდნენ, ახდენდნენ რესურსების მობილიზებას და ქმნიდნენ საერთო მომავალს. 50 წლის განმავლობაში ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ერთად შექმნეს სტაბილურობის, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარების სივრცე. ამ პროცესში მათ შეინარჩუნეს კულტურული მრავალფეროვნება, ტოლერანტობა და ადამიანის პირადი თავისუფლება. ევროკავშირის მიზანი მის ფარგლებს გაერთ მყოფი ადამიანებისა და სახელმწიფოებისათვის სწორედ ამ მიღწევებისა და ფასეულობების გაზიარებაა.“